კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:

- "მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არა-სასწრაფო მომსახურებაზე;
- ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
- სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
- კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
- კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.

პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორცაა:

- დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
- პროფესიონალური და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
- დამონების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დანესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
- ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, სამომავლოდ, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
- შეკვეთის ინიციატივის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2-წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზემოქმედებების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსულ ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართობების უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.

აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევები.

კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში: შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე; ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა; შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გათხოვთ მოგვანოდ-ით თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადის შეტანის საბოლოო ვადაა **ორშაბათი, 2004 წლის 29 მარტი, 18 საათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემთავაზებას.

კადრების განყოფილება

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

კონსულტანტი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ბიკრემოს დაცვის დარგში

ბრიტომ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, ბრიტომ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) დარგში კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრიტომ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს ბრიტომ პეტროლეუმის ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

სამუშაოს აღწერა:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო HSE კონსულტანტი გარემო ანგარიშვალდებული იქნება უსაფრთხოების უფროსი კონსულტანტის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

HSE კონსულტანტი უზრუნველყოფს კონსულტაციებს და მხარდაჭერას სამუშაო ძალებისთვის, რათა მათ გამოიყენონ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკა, როგორცაა "ბრიტომ პეტროლეუმის უსაფრთხოების ოქროს წესები" და "მუშაობის უსაფრთხო სისტემები". ახდენს ყველა ობიექტის საქმიანობის მონიტორინგს და კონსულტაციას უნებს ზედამხედველებს, როდესაც ადგილი აქვს უსაფრთხოების კარგი პრაქტიკის დარღვევის შემთხვევებს.

როლები და პასუხისმგებლობები

ძირითადად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

წინასაექსპლუატაციო ეტაპზე:

- დავრების საგემო შეხვედრები და საუბრებს, სამუშაოს დაწყებამდე, რათა მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებების რისკის შეფასებაში და განისაზღვროს ყველა საფრთხე და მიღებულ იქნას სათანადო ზომები რისკის შემცირებისთვის.
- განახორციელოს მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკის, სახელდობრ, უსაფრთხოების სავალდებულო ოქროს წესების დარღვევის შემთხვევების განსაზღვრაში
- კონსულტაციები უსაფრთხო სამუშაო ძალებს, გაძლიერებული უსაფრთხოების უსაფრთხოების შემომხმებასა (ASA) და უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამაში (STOP) მონაწილეობის მისაღებად, რათა განვითარდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა.
- წეროს ანგარიშები, გაანალიზოს ASA-ს და STOP-ის ბარათები, რათა დაეხმაროს ზედამხედველებს უსაფრთხოების სწორი ქმედების ხელშეწყობისა და საჭიროებისამებრ მაკორექტირებელი ქმედების მხარდაჭერის საქმეში.
- ჩატაროს გაზის ტესტები, როგორც ამას სამუშაოს ნებართვის პროცედურები მოითხოვს (PTW)
- განახორციელოს სამუშაოს ნებართვის პროცედურების (PTW) ეფექტიანობისა და სწორად გამოყენების მონიტორინგი.
- განახორციელოს სამუშაო ძალების ტრენინგის საპასპორტო სისტემის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათ ჩაუტარდებოთ შეთანხმებული და მათი სამუშაოს შესაბამისი ტრენინგები
- გაუწიოს დახმარება ინციდენტებისა და დაძაბული სიტუაციების გამოკვლევისას
- განახორციელოს უსაფრთხო მუშაობის მენეჯმენტის ეტაპის პროგრამის მონიტორინგი
- გაუწიოს გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კონსულტანტებს დახმარება, ატმოსფეროსა და მიწაზე გამოტყორცნების მონიტორინგის საქმეში და კონსულტაციები განიოს ობიექტების ზედამხედველებს, როდესაც მუშაობის პარამეტრები მიუღებელია.
- საწარმოებისამებრ დახმარება განიოს ობიექტის ზედამხედველს დადგინდეს ნავთობის დასუფთავების საქმეში
- მონაწილეობა მიიღოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე ჩატარებულ ინსპექციებში, რათა განამტკიცოს დანადგარებისა და ოპერატორების მზადყოფნის სამომავლოდ.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ფრენის წევრს
- სასურველია განათლება ტექნიკურ სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
- საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გეჭვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა **შაშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.** საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია

BP Georgia

საბურთალოს ქ. N38

თბილისი, საქართველო.

საქართველოს განათლების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი

შესავალი:

საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკისაგან საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად, რომელიც ითვალისწინებს დაწყებითი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების სწავლების შედეგების ხარისხის გაუმჯობესებას საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. 12 წლიანი პროექტი დაგეგმილია განხორციელდეს 3 ოთხწლიანი ეტაპის სახით. პროექტის პირველი ეტაპი ითვალისწინებს საქართველოს განათლების სისტემის მიზნების გარდაქმნას და დასახული მიზნების მისაღწევად დაწყებითი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის შესაბამისი ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავებას, გარკვეულ ეტაპებზე და ძირითად საკითხებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სისტემის შექმნას, სკოლის მოსწავლეებელთა და დირექტორთა პროფესიულ განვითარებას და ძირითადი სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას. ამასთანავე, განხორციელდება დამატებითი ჩარევები განათლების სისტემის რესურსების, კერძოდ, ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ფინანსური რესურსებისა და მასწავლებელთა შესაძლებლობების გამოყენების გასაუმჯობესებლად. ყურადღება გამახვილდება ახალი ფინანსური მექანიზმების განვითარებაზე, სკოლების ოპტიმიზაციის ინიციატივებსა და სტრატეგიებზე, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს მასწავლებელთა რესურსების რესტრუქტურისაგან. აღნიშნული ფაზის განხორციელებისათვის საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმებულია და რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ.

აღნიშნული პროექტის განხორციელების საკითხში განათლების სამინისტროს დახმარებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. შესაბამის ასპექტებში ცენტრს ზედამხედველობას გაუწევს განათლებისა და ფინანსთა სამინისტროები. ძირითადად, პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ვალდებულებებია: საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება პროექტის ფარგლებში; თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან და სხვა სააგენტოებთან თუ ორგანიზაციებთან, რაც აუცილებლობას წარმოადგენს პროექტის განხორციელებისა და მიზნების მისაღწევად (მაგ. მსოფლიო ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო კანცელარია, სკოლები, ადგილობრივი და რეგიონალური ოფიციალური პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორები); მსოფლიო ბანკისა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად თანხების ათვისების და პროექტის განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშების მომზადება. პროექტის საკოორდინაციო ცენტრი წარმოადგენილია დირექტორის, ორი ძირითადი კომპონენტის კოორდინატორის, ორი შესყიდვების სპეციალისტის, ორი ფინანსისტისა და ორი დამხმარე თანამშრომლის სახით.

ზოგადი ვალდებულებები:

პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს განათლების პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა. ამასთანავე, პროექტებით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისობას ამ პროექტების მიზნებთან და განათლების პროექტის საერთო განვითარების ამოცანებთან. პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი უზრუნველყოფს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ ძირითადი ფუნქციების შესრულებას:

- განათლების სამინისტროს დახმარება განათლების პროექტის განხორციელებაში. კერძოდ, მუშაობის წარმართვა პროექტის ფაგვების წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრის თანამშრომლებს ან განათლების სამინისტროს კონსულტანტებს;
- პროექტის განხორციელების კოორდინირება;
- გ) პროექტის საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის დაგეგმვა და დამტკიცებული გეგმის განხორციელება საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად;
- დ) განათლების პროექტის მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშების მომზადება.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია საზოგადოებრივი მართვის ან ბიზნეს ადმინისტრაციის დარგში;
- სასურველია სახელმწიფო დონეზე საზოგადოებრივი მენეჯმენტის (მინიმუმ 3 წელი) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
- პროექტის განვითარების/ხელმძღვანელობის გამოცდილება, ფინანსური მენეჯმენტის და მართვის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის უნარი, ჩანაწერებისა და ანგარიშების სისტემების შემუშავება და წარმოება, სამუშაო პერსონალისათვის პირად, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებზე რჩევების მიცემა;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერთან მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები, ძირითადად Microsoft Office და ელექტრონული ფოსტა;
- განათლების სექტორის საფუძვლიანი ცოდნა და სამუშაო გამოცდილება (სასურველია), მაგრამ არ წარმოადგენს მოთხოვნას.

ანგარიშგება

პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დირექტორი ანგრივალდებულია განათლების სამინისტროს წინაშე.

კონკრეტული ვალდებულებები შემდეგში მდგომარეობს:

ვალდებულებები	საჭირო ქმედებები	საკითხების, გადარიცხვის განაცხადებისა და ხარჯების კონტროლი;
1. პროექტის საკოორდინაციო ცენტრის განვითარებისა და შესაბამისი ოპერაციების ხელმძღვანელობა	<ul style="list-style-type: none"> პროექტის საკოორდინაციო ცენტრის თანამშრომლების შერჩევა და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება; პროექტის საკოორდინაციო ცენტრის თანამშრომლების ზედამხედველობის და გადამზადების უზრუნველყოფა; თანამშრომლების ქმედითუნარიანობის შეფასება და უნარ-ჩვევების განვითარებაზე მუშაობა; პროექტის საკოორდინაციო ცენტრისათვის მინიჭებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა; პროექტის საკოორდინაციო ცენტრის სამუშაო პროცედურების შემუშავება, მათ შორის რეგულარული შეხვედრების ორგანიზება ყოველდღიური საქმიანობის განხილვის მიზნით; საჯარო იურიდიული პირის - პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკის ხელშეკრულებების და პროცედურების შესაბამისად; განათლების სამინისტროს აგენტის სტატუსით მოქმედება (საჭიროებისამებრ). 	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მიმდინარე სტატუსის შემოწმების სისტემის და ანგარიშების შემუშავება მსოფლიო ბანკისათვის; მონიტორინგისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა; საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი უწყებების მოთხოვნების კოორდინაცია
2. პროექტის მართვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა	<ul style="list-style-type: none"> პროექტის გეგმების დასახვა, კოორდინირება და განხორციელების უზრუნველყოფა; განათლების სამინისტროს სპეციალისტების ჩართვა პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საკითხებში და აღნიშნული პროცესების ხელშეწყობა; განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებისათვის, მსოფლიო ბანკისა და სხვა სააგენტოებისათვის პროექტის განვითარების ანგარიშების წარდგენა მოთხოვნისამებრ; ცალკეული პროექტების განხორციელების საკითხების ან მისაღწევი მიზნების განსაზღვრება და შესაბამისობისა და შესაბამისი წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება; პროექტის დაგეგმვის, მონიტორინგისა და განვითარების შეფასების პროცედურების შემუშავება და გათვალისწინება; პერიოდულად გეგმების და ხარჯთაღრიცხვების განახლება; პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა. 	<ul style="list-style-type: none"> შესყიდვების სპეციალისტების შერჩევა და სამუშაო მიმართულების დასახვა; საჭირო საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების განსაზღვრაში მონაწილეობა; პროექტის წარმავებული განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებებზე, სამუშაოებზე და მომსახურებაზე კონკურსების გამოცხადება; სატენდერო კომისიების შექმნა და შეფასების პროცესებში მონაწილეობა; შერჩეულ კონტრაქტორებთან კონტრაქტების შეთანხმება; ადგილობრივ და უცხოელ კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების გაფორმება; შესყიდვების ეფექტური მართვაში, დაგეგმვისა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა შესყიდვების სამუშაოთი გადატვირთულ პერიოდში; გაფორმებული კონტრაქტების შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური მართვა; განხორციელებული შესყიდვების პროცედურების მსოფლიო ბანკის პროცედურებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მათ შორის წინასწარი განხილვის და დამტკიცების პროცედურები.
3. პროექტის ფინანსური რესურსების მართვა	<ul style="list-style-type: none"> პროექტის ფინანსური მენეჯერის შერჩევა, სამუშაო მიმართულების დასახვა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა; ფინანსურ მენეჯერთან ერთად ფინანსური აღრიცხვების სისტემის შექმნა და პროექტის ყველა ფინანსური ოპერაციის კონტროლი ავტორიზაციის, ჩანაწერებისა და ანგარიშგებისათვის; საპროექტო ანგარიშების წარმოების, საანგარიშსწორებო 	<ul style="list-style-type: none"> შესაბამისი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად და საგანმანათლებლო საქმიანობების მხარდასაჭერად პროექტსა და დონორი სააგენტოების (UNDP, SO ROS, USAID და სხვა) წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის წარმართვა. მსოფლიო ბანკისათვის და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პროექტის საქმიანობისა და მიღწევების ყველა ანგარიშის წარდგენა; საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკს შორის ყველა ხელშეკრულების შესაბამისობის უზრუნველყოფა.
4. საქონლის შესყიდვების, შესაბამისი სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების მართვა		
5. შესაბამისი სააგენტოებთან ურთიერთობების წარმართვა		
6. სხვა ვალდებულებები		

აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმომადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი N102. 0102 თბილისი,
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F საკონტაქტო პირი: ქ-ნი ევა ეზუგბაია
ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net
განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 6 აპრილი

შენიშვნა:

- საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
 - ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
 - ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შესარულოს საიჯარო სამუშაოები.

ბარისახოში იარაღის სამალავს მიაბნეს

გუშინწინ იარაღის სამალავის გამოსაგონებლად ჩატარებული სპეცოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში მოწყობილი ოპერაციების გაგრძელებაა. ბოლო სამი თვის მანძილზე შსს-მ პანკისის ხეობაში ჩვენების რამდენიმე სამალავს მიაგნო და საბრძოლო იარაღის სოლიდური არსებობა დაადასტურა.

თამარ ქაშირაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გუშინ, დილით, ხე-ესურეთის სოფელ ბარისახოში, ყოფილი ტრანსმავტისტრალის დაუმთავრებელი შენობის სარდაფში აღმოჩენილ იარაღის სამალავში 40 რეაქტიული საავიაციო ჭურვი და კუსტარულად დამზადებული, მხარზე დასაფარავი სასროლი მოწყობილობა აღმოაჩინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გორგი ბარამიძის განცხადებით, ამ კატეგორიის ჭურვებს ჩვენებით მებრძოლი სამხედრო პირები ქვეით ბრძოლისას და მძიმე ტექნიკის წინააღმდეგ იყენებდნენ. ეს არის ეგრეთ წოდებული "ჰაერი-მიწა", რომელიც ჩვენებში მიმდინარე ბრძოლებისას ძალზე ეფექტურად გამოიყენებოდა. შს მინისტრის მტკიცებით, ეს ის იარაღია, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩვენებმა საქართველოში გადმოიტანეს და შემდეგ მისი უკან

გატანა სურდათ. თუმცა, ვინა ბარამიძის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში სამალავის ბარისახოდან გადატანა იგეგმებოდა, მაგრამ ოპერატიული ღონისძიებების გამო ჭურვების გატანის გეგმა ჩაგარდა. ქართველმა სამართალდამცველებმა დამალული იარაღის შესახებ ინფორმაცია წინა დღეს მიიღეს და ერთდღიანი მუშაობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დადგენილიყო მისი ადგილმდებარეობა და ისინი თბილისში ჩამოიტანათ.

"მართალია, მის მფლობელებს სურდათ იარაღის დაბრუნება, მაგრამ ჩვენ მათთან არანაირ მოლაპარაკებასა და გარიგებაზე არ წავართვით და ყველა გამოვლენილ ფაქტზე ანალგოვირად ვიმოქმედებთ", - ამბობს გიორგი ბარამიძე.

შს მინისტრის განცხადებით, იარაღის ამოღება საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით პოზიტიური ნაბიჯია, რადგან **"არავინ იცის, სად და ვის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ამ იარაღს"**.



შსს-მ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების დანატოვარი იარაღის არსებული მდგომარეობა აღმოაჩინა.

აღს - საქართველოს თუ რუსეთის, თუმცა ამ შემთხვევაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ იარაღი ამოღებულია და ადამიანების წინააღმდეგ მისი გამოყენება ვეღარ მოხერხდება", - ამბობს ვინა ბარამიძე.

მისივე თქმით, ჩატარებული ღონისძიება ქართულ-რუსულ ურთიერთობაში წინ გადადგმული ნაბიჯია. მინისტრი იმედოვნებს, რომ რუსი კოლეგები შესაბამისად შეაფასებენ ამ ნაბიჯს.

"ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ ქართული მხარე რუსეთთან აღებულ ვალდებულებას პირნათლად ასრულებს, რაც, ვფიქრობთ, ორი ქვეყნის ურთიერთობაში დადებით შედეგს გამოიღებს". - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ამოღებული 40 რეაქტიული საავიაციო ჭურვი, რომელიც შესაძლებელია ჩვენების ხელში მოხვედრილიყო, დღეს უკვე საქართველოს კუთვნილებდა და, როგორც ბარამიძემ განაცხადა, შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე იგი ან შინაგან საქმეთა სამინისტროს საწყობში შეინახება, ან შინაგან ჯარს გადაეცემა. ამას უკვე იარაღის მფლობელი თავად გადაწყვეტს.

ლევან ქისტაური დააკატიმრეს

პირველი აპრილიდან

როგორც უკვე მოგახსენებდით, ლევან ქისტაურს სამართალდამცველებმა ძველი თანამდებობის, კერძოდ, აქციზური მარკების სამსახურის უფროსობის დროინდელი - 2002-2003 წლების ცოდვები გაუხსენეს და ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დასდეს, რაც მაქსიმუმ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა შპს "იმედის" და მისი გენერალური დირექტორის ლევან კეჭერაშვილის საქმიანობის შესწავლა დაიწყო და მის ანგარიშზე აქტივის სახით დარიცხული 900 ათასი ლარი აღმოაჩინა. ანუ, როგორც გამოიძიება ირმუნება, სხვადასხვა თანამდებობის პირების ხელშეწყობით სა-

ხელმწიფოს აღნიშნული ფირმის ვალი ხელოვნურად დაიდო. თუმცა, "იმედის" და მისი ხელშეწყობების დანაშაულებრივი საქმიანობა ამით არ დასრულდა. მოგვიანებით, "იმედს", რომელსაც თამაშის წარმოებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა, ქისტაურის მოადგილის გიორგი ბეჟუაშვილის ხელმოწერით და კანონის სრული იგნორირებით, დაახლოებით, სივარცის 5 მილიონი აქციური მარკა გადაეცა. "იმედმა" კი აღნიშნული აქციზური მარკები გამოიძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელ ფირმებს მიჰყიდა. ამით ფირმას, რომელსაც "იმედმა" აქციზები მიჰყიდა, საშუალება მიეცა ეწარმოებინა იმავე რაოდენობის, ანუ 5 მილიონი კოლოფი აღურიცხავი სივარცე, რითაც სახელმწიფომ მილიონობით ლარის ზარალი მიიღო.

მას შემდეგ, რაც საქმეში მალალი თანამდებობის პირების ბრალეულო-

ბა გამოიკვეთა, საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურაში გადაიგზავნა. საქმის მასალების შესწავლის და რამდენიმე დღიანი გამოძიების შემდეგ კი თანამდებობის პირთა დაპატიმრების სერიაც დაიწყო. სწორედ იმ ღამეს, როდესაც ქისტაური გენპროკურატურამ დანაშაულებრივ ფაქტებზე ინფორმაცია მიიღო და მამინე უპრობლემოდ გაათავისუფლა, წინასწარი დაკავების იზოლაციაში გადაიყვანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ბეჟუაშვილი და სხვადასხვა ხალხი დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ლევან კალანდაძე, რომელსაც ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება. რაც შეეხება თავად შპს "იმედის" გენერალურ დირექტორს ლევან კეჭერაშვილს და სხვადასხვად სამსახურის იმეამინ-

დელ უფროსს იასე ზაუტაშვილს, რომელთა ბრალეულობაც, გამოძიების მტკიცებით, უკვე გამოკვეთილია, მიმდევარ იმყოფებიან და მათზე გამოცხადებულია ძებნა.

ლევან ქისტაურს კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დანაშაულს არ აღიარებს, ბრალი უკვე წარდგენილი აქვს და როგორც გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა, გამოძიებით დაკავებული მინაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, 24 საათის განმავლობაში პროკურატურა მთავრის მინდა-კრწანისის სასამართლოს აღნიშნულს ლონისძიების შეფარდების შეუამდგომლობით მიმართავს. შეუფარდებს თუ არა სასამართლო საბაჟოს ყოფილ შუგს სამი თვით წინასწარ პატიმრობას, ძველი სათქმელია. მით უმეტეს, რამდენიმე დღის წინ თავად გამოძიებულებსაც სჯეროდათ, რომ ქისტაური გამოძიებას ხელს არ შეუშლიდა.

ადამიანის უფლებების დამცველს კონტრაბანდული მანქანა ჩამოართვეს

ბექა სისაური ქართული

გუშინწინ საღამოს ქუთაისის მისადგომთან, სოფელ გოდოგანში, არასამთავრობო ორგანიზაცია "პატიმართა თანამეგობრობის" პრეზიდენტის ლალი აფციურის კუთვნილი "ფორდის" მარკის ავტომობილი დააკავეს. უშიშროების სამინისტროს დასავლეთის მიმართულების სამმართველოს უფროსის გონა მიქაუტაძის განცხადებით, აფციურის ავტომობილი იძებნებოდა და იგი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. რაც შეეხება თავად ლალი აფციურს, მას უარი განუცხადებდა ავტომობილიდან ჩამოსვლაზე, ამიტომაც უშიშროების თანამშრომლებს იგი უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ზონში ავტომობილიდან გადაიყვანიათ.

"ლალი აფციურის დაკავების ბრძანება ჩვენ არ მივიღეთ. მას, აღბა, ნიშნავს დღეებში დაიბრუნდნენ დაკითხვაზე, მაგრამ აფციურმა ავტომობილიდან ჩამოსვლაზე უარი განაცხადა", - აცხადებს მიქაუტაძე. საქმე, რომლის საფუძველზეც ლალი აფციურის ავტომობილი დააკავეს, თავდაპირველად იმერეთის მხარის სამართალდამცველებმა მოიკვლიეს და ქვემდებარეობის მიხედვით გამოსაძიებლად გადასცეს უშიშროების სამინისტროს. ქუთაისის ოლქის პროკურატორის მოადგილის გურამ გვენცაძის განმარტებით, ლალი აფციურის "ფორდი" "კანონიერმა ქურდმა" ზაზა მახარობლიძემ, მეტსახელად - "გლხოვიჩმა" აჩუქა. **"პოლიციიდან ჩვენთან შემოვიდა ინფორმაცია, რომ აფციური "კანონიერი ქურდის" ავტომობილი დაიღობდა და დაიწყო მოკვლევა. შემომხმისას დადასტურდა, რომ ავტომობილის საბაჟო საბუთები გაყალბებული იყო"**, - აცხადებს გურამ გვენცაძე.

მოკვლევისას გაირკვა, რომ ავტომობილი "გლხოვიჩის" სიდერის სახელზე იყო გაფორმებული. "კანონიერი ქურდის" სიდერმა დადასტურა, რომ ავტომობილიდან მას შესება არ ჰქონია და იგი მისმა სიმამრ აფციურს აჩუქა. **"როდესაც ამის თაობაზე ლალი აფციურს ვკითხეთ, მან ყველაფერი უარყო და განაცხადა, ავტომობილი ვიღაც პეტრესგან თბილისში იყდა. ფაქტობრივად, მან რეალობა დამალა. ლალი აფციური "გლხოვიჩის" ქუთაისის საოლქო სასამართლოში იცავდა, მან შეძლო, რომ "გლხოვიჩისთვის" სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიება არ შეეფარდა"**.

ორი საზარელი მკვლელობა ერთ ღამეს

გუშინ გამთენიისას გარდაბნის რაიონში ორი საზარელი მკვლელობა მოხდა. ორივე მძიმე დანაშაულს ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში განზრახ მკვლელობის კვალით ითვლება. გარდაბნის ცენტრში, კულტურის სახლში მდებარე "ტელე-აქტივიზმი" მომხდარი მკვლელობა მაშინვე, ცხელ კვალზე გაიხსნა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია. ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატორის მამუკა ცაავას თქმით, მან დანაშაული დაკავებისთანავე აღიარა. **"მკვლელობის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს საშინელი სურათი დახვდათ. მოკვლულს თავი თითქმის აღარ ჰქონდა. ის ბლაგვი სახეებით იყო დაჩქევილი. მოკვლულს ვინაობის დადგენისთანავე მოხერხდა მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავება. გარდაცვლილი გურამ ფანჯანი გახლავთ, ეჭვმიტანილი კი მიხეილ კვანჭიანი. მართალია, კვანჭიანი ჩადენილ მკვლელობას აღიარებს, თუმცა მიზეზს ვერ ასახელებს. მომხდარს სიმთვრალე აბრალეს და დეტალებში ყველა, როგორ ურტყამდა თავში ჩაქუსსა და მაგნიტოფონს მკვლელობამდე**

მასთან ერთად მოქიფე გურამ ფანჯანს", - განაცხადა ჩვენთან საუბრობისას ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატორმა.

რაც შეეხება გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მომხდარ მკვლელობას, ის ჯერ კიდევ გაუხსნეულია და ბურუსითაა მოცული. მომხდართან დაკავშირებით ჩვენთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ სოფლის გზაზე სახლისკენ მიმავალ მძებრ - დავით და თამაზ ოთარაშვილებს თავს დაესხნენ და ცეცხლი გაუხსნეს. მიყენებული სასიციფლო ჭრილობების გამო თამაზ ოთარაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, მძიმედ დაჭრილი დავით ოთარაშვილი კი ამჟამად თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

"მკვლელობის მიზეზები და გარემოება დაინდობა. თავდამსხმელი, საკარადლოდ, ერთი უნდა ყოფილიყო. დაჭრილ დავით ოთარაშვილთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება - დადასტურდა - ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მოხდარს თვითმხილველი არ ჰყავს", - აცხადებს მამუკა ცაავა.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი

ბრიტომ პეტროლეუმის მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ექვს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად, იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი "ბი-პი"-ს მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

სამუშაოს აღწერა:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის მხარით. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეეძლება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საქესპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

შესაბამისობის ჯგუფის ადმინისტრატორი პასუხისმგებელი იქნება:

- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის (HSE) შესახებ ყველა ჩანაწერების წარმოებაზე, მათ შორის ანგარიშებზე, ანგარიშებზე ინციდენტების შესახებ, უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების პროგრამებზე (STOP) და გაძლიერებული უსაფრთხოების შემოწმებაზე (ASA), აგრეთვე ინციდენტების სტატისტიკაზე, HSE-ს მონიტორინგის მონაცემებზე და ა. შ.
- მონაცემთა ბაზის შექმნასა და შენარჩუნებაზე, ზემოთ აღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე ყველა ღონისძიების თვალის მიდევნებისათვის.

როლები და პასუხისმგებლობები:

- ძირითადი როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:
 - სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშების მომზადება აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ოპერაციებისთვის, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად
 - სტანდარტული ანგარიშების მომზადება, რომლებიც საჭიროა გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების სერტიფიცირების სტანდარტებისთვის
 - ყველა იმ საჭირო მონაცემების შენახვა, რომლებსაც მოითხოვენ აზერბაიჯანის/საქართველოს/თურქეთის ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მარეგულირებელი ორგანოები
 - AGT HSE-ს მონაცემთა ბაზის შენარჩუნება, ყველა შემავალი და გამავალი ანგარიშებისთვის, ინციდენტების შესახებ ანგარიშების და სტატისტიკური მონაცემებისთვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მონიტორინგის პროგრამიდან
 - ASA-ს და STOP-ის პროგრამის მონაცემებისა და თვალის მიდევნების მონაცემთა ბაზის შენახვა
 - HSE-ს მონაცემების ანალიზი, ტენდენციების განსაზღვრისათვის, რათა გაუწიოს რეკომენდაცია კონცენტრირებული მენეჯმენტის ღონისძიების თაობაზე
 - "ბი-პი"-ს, დარგისა და ორგანიზაციის ინფორმაციის და სტანდარტების HSE-ს ბოლითოეის შენახვა, ბრიტომ პეტროლეუმის საინფორმაციო ვებსაიტის შევსებისთვის

- კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
 - უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
 - ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
 - კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
 - შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
 - სასურველია განათლება გარემოს ტექნიკურ სფეროში
 - კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.
 - საჭიროა საქართველოს მოქალაქეობა

როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსეთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ. საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესაბამისად საუბარს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP Georgia
საბურთალოს ქ. N38
თბილისი, საქართველო.

ამერიკული დახმარება და მაღალი ხელფასები კანონიერების განსამტკიცებლად

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს დამატებით სახსრების გამოყოფას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ორგანოებში ზოგიერთი პროგრამის დასაფინანსებლად. შეთანხმებას, რომლის გაფორმებაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დროს გადაწყდა, 23 მარტს ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და შეერთებული შტატების ელჩმა მოაწერეს. ორშაბათსვე ცნობილი ხდება, რომ ქვეყანაში კანონიერების განმტკიცების მიზნით, პირველი აპრილიდან საქართველოს მთავრობა სამართალდამცველ და ძალოვან უწყებებში ხელფასების გაზრდას გეგმავს.

კობა ლიქლიძე
„რადიო თავისუფლება“

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აგრძელებს საქართველოს უსაფრთხოებით და სამართალდამცველი სტრუქტურების განვითარების ხელშეწყობას. თენახვერის წინ სწორედ ვაშინგტონიდან ჩამოვლილმა 10 მილიონმა დოლარმა გადაარჩინა საქართველო სოციალურ მელვარებას, რომელიც უხელფასოდ დარჩენილ ე.წ. ძალისმიერ სტრუქტურებს ემუქრებოდა. იმ დახმარებებიდან, დაახლოებით, 2 მილიონი დოლარი ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მონაწილე ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ხელფასების დასაფინანსებლად დაიხარჯა. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ მაილის თქმით, ამ ნაბიჯით ვაშინგტონმა საქართველოს ბიუჯეტს ტვირთი შეუმსუბუქა.

„ეს იყო მხოლოდ ერთგვარი დახმარება, განკუთვნილი ამ რთული პერიოდისათვის. ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასის ანაზღაურება არ იყო ჩვენი ვალდებულება, მაგრამ ამ ნაბიჯით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნით მაინც დაიზოგება საბიუჯეტო თანხა, რომელსაც საქართველოს მთავრობა სხვა პროგრამების დაფინანსებას მოახმარს,“ - ამბობს მაილი.

23 მარტს ხელმოწერილი შეთანხმებით გათვალისწინებული ასიგნება, რომლის საერთო მოცულობა ორნახევარ მილიონ დოლარს შეადგენს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიისა და პოლიციის აკადემიის პროექტის განვითარებაზე დაიხარჯება. თანხის ზუსტად ნახევარი მოხმარდება იურიდიულ საკითხებში მუდმივი მრჩევლის პროგრამას. ამ მრჩეველმა, თუმცა მრჩეველთა ჯგუფმა, რომელთა ვი-



შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიალი.

ნაობაც, ჯერჯერობით, უცნობია, საქართველოს მთავრობას მეთოდოლოგიური დახმარება უნდა აღმოეჩინოს სამართალდამცველი სტრუქ-

ტურის რეფორმირების, კორუფციასთან, შავი ფულისა და ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის საკანონმდებლო ბაზის მოსამზადებლად.

საქართველოს მთავრობამ კი ამ დროისთვის, ისევე დონორების დახმარებით, პროფესიონალიზმის კვალობაზე უნდა აამაღლოს სამართალ-

დამცავი სტრუქტურების მუშაკთა შრომითი მოტივაცია. განვითარებისა და რეფორმების ფონდის პრეზიდენტის კოტე კუბლაშვილის თქმით, ხელისუფლება პოლიციისა და პროკურატურის, როგორც მაღალჩინოსან, ისე რიგით მუშაკთა ხელფასის მნიშვნელოვან გაზრდას გეგმავს.

„ფონდიდან შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილეები ფინანსდებიან. გარდა ამისა, მინისტრს ეძლევა კიდევ თანხა 600 მუშაკისა და გამომძიებლებისათვის - თითოეულზე 200 დოლარის ოდენობით; ასევე, კონკრეტული თანხა სპეცრაზმისა და შინაგანი ჯარისათვის და ასე შემდეგ,“ - აცხადებს კოტე კუბლაშვილი

ხელფასზე დანაშაულებს სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლები 1 აპრილიდან ელოდებიან. მაგრამ, ეს თანხა საქართველოს მასშტაბით ხუთი თასი მოხელეზე გათვლილი და ბუნებრივია, ვერ გასწვდება ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ ყველა ადამიანს. თუმცა, სოციალურ ნიადაგზე დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ძალოვანი უწყებების პირველ პირებს უფლება ეძლევათ შიდა ბიუჯეტის ხარჯზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, გაზარდონ ცალკეული მუშაკების შრომითი სარგობები, რომელსაც 1996 წლის შემდეგ 1 თეთრიც არ მიმატებია.

კახალაძის იმედი

პირველი გვარდიანა

ალარ გეგეჭაძე. მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ ქვეყანა უფასურად დანაშაულებს და საარსებო პირობები გააუმჯობესოს,“ - ასე ამბობს ვიდეო პრეზიდენტი მოსახლეობას. პირველ რიგში ქვეყნის პირველი პირი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ რეგიონში კრიმინალურ ვითარებას გამოასწორებდა. იმის დასტურად, რომ ხელისუფლებამ და ძალოვანებმა აქტიურად დაიწყეს ბრძოლა კრიმინალების წინააღმდეგ, სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ საგარეოში ჩატარებული სპეცოპერაცია დაასახელა: „ამ ცოტა ხნის წინ საგარეოში საშიში დამნაშაულები აყვანილია მოახერხა პოლიციამ. ისინი აღამაზის გატაცებაში არიან ეჭმიტანალები და მათ საზღაური მიეგებათ. მე არ დავუშვებ კრიმინალების ბოგინს საქართველოში. მორჩა ამ ადამიანების ბოგინს!“

კრიმინალების მსგავსად საქართველოს პრეზიდენტმა გაფრთხილება ურჩ ჩინოვნიკებს და პოლიციის უფროსებს მისცა. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე დანაშაული ისინიც ამხელეს, პრეზიდენტი არც მათ დანაშაულებს აპირებს. „ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ ქვეყნისთვის კარგი არა სურთ. ამისთვის კი თქვენი თანადგომაა სჭირო. თუ თქვენ ვინმეს რაიმე დანაშაული დაიჭერთ, პირადად მე მომხრეთ წერილი და მათ მოუფელი. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ის, პოლიციელი თუ გამგებელი,“ - ამბობს სააკაშვილი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის მოსახლეობა კი სააკაშვილმა სასამართლო წყლის პრობლემის მოგვარებით დააიმედა. პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკმა კახეთში უნდა დააფინანსოს, გაზაფხულიდან დაიწყო. „მართალია ადრეც ახორციელდება ბანკი პროგრამებს, მაგრამ ეს თანხები ყოველთვის ვილაციის ვიბში მიდიოდა. ამჯერად კი სიტყვას გაძლევთ, რომ ეს არ მოხდება,“ - ამბობს სააკაშვილი. გარდა ასეთი დახმარებისა, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, როგორც სააკაშვილმა განაცხადა, სოფლის მოსახლეობისთვის მიკროკრედიტები გაიცემა. ამჯერად ამ პროექტის განხორციელება მხოლოდ საგარეოს რაიონში მიმდინარეობს, სულ მალე კი კრედიტები გურჯაანსა და თელავშიც გაიცემა. პრეზიდენტმა მედიელებიც დააიმედა და მათ დახმარება აღუთქვა.

ყველაზე ხალხმრავალი და ემოციური შეხვედრა პრეზიდენტს თელაველმა მოუწვევს. აქ სახარულის ცრემლები და მიმას ძახილი არ წყდებოდა. „უფალმა დალოცოს ეს კაცი. მაგის იმედი ზედა ვრჩებით მოსახლეობა. მე ჩემი პრეზიდენტი საკუთარი შეილივით მიყვარს,“ - ამბობდა სამოც წელს მიტანებული თამარ სოზაშვილი და თვალზე მომდგარ სიხარულის ცრემლებს იწმენდა. თავად მიხეილ სააკაშვილმა კი გუშინდელი დღე ასე შეაფასა: „ეს არ არის საარჩევნო კამპანია. მე ხალხის არჩეული ვარ და მათ გვერდით უნდა ვიდეგ.“

ერთადერთი, ვინც გუშინ სააკაშვილმა გაანაწყნა, სიღნაღში მოშიმშილე ქალები იყვნენ. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს „24 საათთან“ პრეზიდენტმა თავი აარიდა. ქიზიყელები კი, სამართლის პოვნის მიზნით, კანცელარიის შენობის წინ საპროტესტო აქციებს გეგმავენ.

შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტი რეინჯერების კომანდორი

